# ხელშეკრულება №03-06/13

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფ. კვატია 15 მაისი 2019 წ.

ერთის მხრივ, სსიპ დიმიტრი ხოზრევანიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვატიის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ ხოზრევანიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ოდისეა, (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ყანჩაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია გლობუსების (CPV 39298600) შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება ინვოისის მიხედვით შეადგენს 200.90 ( ორასი და 90 თეთრი ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღისვადაში

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

### მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

### მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

### მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 15 ივლისი ჩათვლით.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

**შემსყიდველი:**

სსიპ - დიმიტრი ხოზრევანიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვატიის საჯარო სკოლა
ს/კ 248058248
მის: ხულო სოფ კვატია
ტელ: 591 71 88 85
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE31BG0000000939424300
**დირექტორი:** **მერაბ ხოზრევანიძე**

---------------------------------------------------
(ხელმოწერა) ბ.ა

**მიმწოდებელი:**

შპს ,,ოდისეა“
ს/კ 400184019
მის.:ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას 16ა
ტელ.:2422422

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/ა GE55BG0000000266288100

**დირექტორი**

---------------------------------------------------
(ხელმოწერა) ბ.ა

Davit Qanchashvili

Digitally signed by Davit Qanchashvili
DN: cn=Davit Qanchashvili, serialNumber=01003013586, o=Citizen, c=GE
Date: 2019.05.15 13:57:21 +04'00'

**დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა**

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | საქონლისკოდი | საქონლის დასახელება | ზომისერთეული | რაოდ. | ერთ.ფასი | საქონლისფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9789941291869 | ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი | ცალი | 1 | 65 | 65 |
| 2 | 9789941213496 | ილუსტრირებული მსოფლიო ატლასი | ცალი | 1 | 65 | 65 |
| 3 | 9789941249846 | საქართველოს გეოგრაფიული ატლასი | ცალი | 1 | 40 | 40 |
| 4 | 9789994088317 | მოგზაურობა ზღაპრულ მხარეში | ცალი | 1 | 15 | 15 |
| 5 | 9789941235436 | 2016 საბავშვო ენციკლოპედია | ცალი | 1 | 15.9 | 15.9 |
| | სულ ღირებულება | | | | | 200,90 |

**შემსყიდველი:**

სსიპ - დიმიტრი ხოზრევანიძის

სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის

სოფელ კვატიის საჯარო სკოლის

**დირექტორი:** **მერაბ ხოზრევანიძე**

**მიმწოდებელი:**

შპს ,,ოდისეა“

დირექტორი

დავით ყანჩაშვილი

შპს ოდისეა

საქართველო, ქ. თბილისის, ვაჟა ფშაველას 16ა

# Invoice

მიმღები:

მერაბ ხოზრევანიძე

No: 86536

თარიღი:

15/05/2019

გვერდი: 1 / სულ: 1

| № | საქონლისკოდი | საქონლის დასახელება | ზომისერთეული | რაოდ. | ერთ.ფასი | საქონლისფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9789941291869 | ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი | ცალი | 1 | 65 | 65 |
| 2 | 9789941213496 | ილუსტრირებული მსოფლიო ატლასი | ცალი | 1 | 65 | 65 |
| 3 | 9789941249846 | საქართველოს გეოგრაფიული ატლასი | ცალი | 1 | 40 | 40 |
| 4 | 9789994088317 | მოგზაურობა ზღაპრულ მხარეში | ცალი | 1 | 15 | 15 |
| 5 | 9789941235436 | 2016 საბავშვო ენციკლოპედია | ცალი | 1 | 15.9 | 15.9 |
| | სულ ღირებულება | | | | | 200,90 |

შპს ოდისეა
ს/კ 400184019
მის:ვაჟა ფშაველას 16ა

ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
GE55BG0000000266288100GEL

# მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ კვატია 15 მაისი 2019 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ დიმიტრი ხოზრევანიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვატიის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის მერაბ ხოზრევანიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს. ოდისეა მისი დირექტორის დავით ყანჩაშვილის სახით, ამ აქტით ვადასტურებთ, რომ 2019 წელს მაის ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელმა შემსყიდველს გადასცა უნაკლო საქონელი, საქონლის ღირებულება შეადგენს: 200,90 ლარს.

1.შესყიდვის ობიექტია:

| № | საქონლისკოდი | საქონლის დასახელება | ზომისერთეული | რაოდ. | ერთ.ფასი | საქონლისფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9789941291869 | ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი | ცალი | 1 | 65 | 65 |
| 2 | 9789941213496 | ილუსტრირებული მსოფლიო ატლასი | ცალი | 1 | 65 | 65 |
| 3 | 9789941249846 | საქართველოს გეოგრაფიული ატლასი | ცალი | 1 | 40 | 40 |
| 4 | 9789994088317 | მოგზაურობა ზღაპრულ მხარეში | ცალი | 1 | 15 | 15 |
| 5 | 9789941235436 | 2016 საბავშვო ენციკლოპედია | ცალი | 1 | 15.9 | 15.9 |
| | სულ ღირებულება | | | | | 200,90 |

სსიპ დიმიტრი ხოზრევანიძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვატიის საჯარო სკოლის დირექტორი:

მერაბ ხოზრევანიძე

დავით ყანჩაშვილი

შპს „ოდისეა“

Davit Qanchashvili

Digitally signed by Davit Qanchashvili
DN: cn=Davit Qanchashvili, serialNumber=01003013586, o=Citizen, c=GE
Date: 2019.05.15 13:57:58 +04'00'